პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

03.04.2017

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, აღ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

დანიშნულებისამებრ წარსადგენად

სათავო ოფისი
იურიდიული განყოფილება

ავტორი : მუხრან დიდმანიძე

ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1525)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : M.Didmanidze@procreditbank.ge

თარიღი : 03.04.2017

თემა: თანხმობა

გაცნობებთ,რომ სს პროკრედიტ ბანკი თანახმა არის შპს დომუს ალუმინიუმის (ს.ნ. 405059859) კუთვნილ მიწაზე მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი , დაზუსტებული ფართობით 3850 კვ.მ (მიწის საკადასტრო კოდი 01.72.14.014.722) ჩატარდეს ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაოები, მოხდეს არსებულ მიწის ნაკვეთზე პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება მერიის არქიტექტურის სამსახურისგან იმ პირობით, რომ იპოთეკის საგანი არ შემცირდება, ხოლო არსებული იპოთეკა ავტომატურად გავრცელდება წინამდებარე იპოთეკის უფლებით დატვირთულ როგორც უძრავი ნივთის დაყოფის/გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე/ნივთებზე, ასევე იპოთეკის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე მომავალში აღმართულ ნებისმიერ შენობა ნაგებობაზე.

პატივისცემით,

სს "პროკრედიტ ბანკი"

ქეთევან ხუსკივაძე
დირექტორი

დავით გაბელაშვილი
დირექტორი

მუხრან დიდმანიძე
იურისტი

Part of the ProCredit Group

21 Al. Kazbegi Ave.
0160 Tbilisi, Georgia
აღ. ყაზბეგის გამზ. 21
0160 თბილისი, საქართველო

Tel. / ტელ: +995 (0) 32 2202222
Fax / ფაქსი: +995 (0) 32 2202223
info@procreditbank.ge
www.procreditbank.ge

JSC ProCredit Bank / ს.ს. პროკრედიტ ბანკი
SWIFT / BIC : MIBGGE22
Tax-Reg.-No / საიდენტიფიკაციო კოდი:
204851197

შემოწმებულია: სოფიო წათეწამე

იპოთეკის ხელშეკრულება No **670768944-0222**

თბილისი **28.10.2016**

მუხლი 1.

1.1. ბანკი: სს"პროკრედიტ ბანკი"; საიდენტიფიკაციო კოდი:204851197; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 21; წარმომადგენლობა:**76-სს "პროკრედიტ ბანკის" თბილისის ფილიალი N 2** ; ადგილსამყოფელი:ალ.ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი; წარმომადგენელი:თამარ ვაჩნაძე (პირადი ნომერი: 01026004017);

1.2. მესაკუთრე/მესაკუთრეები :

შპს დომუს ალუმინიუმი, საიდენტიფიკაციო კოდი: 405059859, მისამართი: თბილისი, კავსაძე N3 კომერციული ფართი N12; სართული 4 ბლოკი A; , დირექტორი: ურუშაძე ბაადურ, პირადი ნომერი: 01009000049

1.3. მსესხებელი;

შპს დომუს ალუმინიუმი, საიდენტიფიკაციო კოდი: 405059859

მუხლი 2.

2.1. მსესხებელს და ბანკს შორის 2016 წელს გასაფორმებელი No **FW76.1415 გენერალური ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით** (შემდგომში ,,უზრუნველყოფილი ხელშეკრულება/ები") გათვალისწინებული მსესხებელის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მესაკუთრე ბანკის სასარგებლოდ, იპოთეკით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

2.2. სხვა კრედიტორებთან შედარებით ბანკს აქვს უპირატესი უფლება, უზრუნველყოფილი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები იპოთეკით დატვირთული ქონების ღირებულების ხარჯზე. იპოთეკა სრულად უზრუნველყოფს იპოთეკარი ბანკის მოთხოვნებს იმ მოცულობით, რაც იპოთეკარს ექნება თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტში. კერძოდ, იპოთეკით უზრუნველყოფილია უზრუნველყოფილი ხელშეკრულებ(ებ)ით წარმოშობილი მოთხოვნა სრულად (შეუზღუდავად), მათ შორის კრედიტის ძირითადი თანხა, საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, სასამართლო ხარჯები, იძულებითი აუქციონის, სააღსრულებო და წარმომადგენლის (ადვოკატის) ხარჯები,მიყენებული ზიანი და ქონების შენახვის ხარჯები. იპოთეკა უზრუნველყოფს როგორც მოთხოვნას, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვა დამატებით უფლებებს.

2.3. იპოთეკის საგნის, რომელიც **მეორე** რიგის იპოთეკით იტვირთება, პარამეტრებია (ტექნიკური და საიდენტიფიკაციო მაჩვენებლები): **მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდიN 01.72.14.014.722 ამოწაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016204447 - 01/04/2016 მომზადების თარიღი 04/04/2016 საკუთრების განყოფილება მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 3850.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:01.72.14.014.382; მესაკუთრის განყოფილება მესაკუთრეები: შპს "დომუს ალუმინიუმი" , ID ნომერი:405059859 მესაკუთრე: შპს "დომუს ალუმინიუმი" იპოთეკა განცხადების რეგისტრაცია**

ნომერი 882016204447 იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება ს.ს. თიბისი ბანკი საგადასახადო გირავნობა: რეგისტრირებული არ არის ვალდებულება ყადაღა/აკრძალვა: რეგისტრირებული არ არის მოვალეთა რეესტრი: რეგისტრირებული არ არის; იპოთეკის საგანი წარმოდგენილია თანდართულ საკადასტრო გეგმაზე (განცხადების რეგისტრაციის N882015562472) და წარმოადგენს წინამდებარე იპოთეკის განუყოფელ ნაწილს

2.4. უზრუნველყოფის ფარგლები - ქონების იპოთეკით დატვირთვა უზრუნველყოფს უზრუნველყოფილი ხელშეკრულებ(ებ)ით მსესხებელის მიერ ნაკისრი შემდეგი ვალდებულებების შესრულებას :

2.4.1. კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება შემდეგი ლიმიტის ფარგლებში: **3000000.00 (სამი მილიონი) აშშ დოლარის**;

2.4.2. კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტების გადახდა არაუმეტეს წლიური 36 % -ისა;

2.4.3. პირგასამტეხლოს გადახდა შესაბამისი გადასახდელი თანხის 2% ოდენობით პირველი ათი დღის განმავლობაში, ხოლო შემდეგ 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში;

2.4.4. მსესხებელის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება;

2.4.5. ქონების შენახვაზე და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება, მათ შორის სასამართლო და სააღსრულებო ხარჯები;

2.4.6. უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულების ვადა განისაზღვრება თავად უზრუნველყოფილი ხელშეკრულებ(ებ)ით.

2.5. იპოთეკა ვრცელდება ყველა ფასეულობაზე, რომელსაც მოიცავს იპოთეკის საგანი, მათ შორის არსებით შემადგენელ ნაწილსა და ნაყოფზე.

2.6. მხარეთა შეთანხმებით, ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი იპოთეკა ავტომატურად გავრცელდება წინამდებარე იპოთეკის უფლებით დატვირთული, როგორც უძრავი ნივთის დაყოფის, გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე/ნივთებზე, ასევე იპოთეკის საგნისათვის მიმატებულ/მიშენებულ/დაშენებულ ფართობზე (იგივე ნივთზე), ასევე ამ მისამართზე არსებულ მომავალში ლეგალიზებულ ფართზე და იპოთეკის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე მომავალში აღმართულ ნებისმიერ შენობა-ნაგებობაზე, ანუ იპოთეკის უფლება უნდა გავრცელდეს აღნიშნულ მისამართზე მდებარე მესაკუთრის/ან მესაკუთრეების სახელზე რეგისტრირებულ მთლიან ფართობზე, მიუხედავად იმისა, რის საფუძველზეც არ უნდა იყოს იგი სახეშეცვლილი.

შემოწმებულია: სოფიო ნათენაძე

2.7. ქონების შეფასება (იპოთეკის ზღვრული თანხა) ხორციელდება ბანკის შეხედულებისამებრ.

2.8. თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად, მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა.

2.9. იმ შემთხვევაში, როდესაც იპოთეკის საგნის მესაკუთრე და მსესხებელი სხვადასხვა პირია, წინამდებარე ხელშეკრულებით მესაკუთრე წინასწარ აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ უზრუნველყოფილ ხელშეკრულებაში(ებში) ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა (მათ შორის უზრუნველყოფილი ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადის ცვლილება) შესაძლებელია ბანკისა და მსესხებელის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხოლო ამის შესახებ მესაკუთრეს უნდა ეცნობოს მსესხებლის მიერ. ბანკი პასუხისმგებელი არ არის მესაკუთრის შეუტყობინებლობისას და ეს არ იმოქმედებს უზრუნველყოფილი ხელშეკრულებ(ებ)ის ცვლილებების/დამატებებსა და ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შედეგებზე.

მუხლი 3.

3.1. ამ ხელშეკრულების დადების, მისი ცვლილებისა და გაუქმების, ასევე იპოთეკის უფლების წარმოშობის და იპოთეკის უფლების შეწყვეტის ხარჯებს, მაბ შორის საჯარო რეესტრში რეგისტაციის ხარჯებს, იხდის მესაკუთრე.

3.2. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე მოქმედებს და ვრცელდება ,,დამატებითი სახელშეკრულებო პირობები", რომლითაც ასევე განსაზღვრულია მხარეთა სხვადასხვა სახის უფლება-მოვალეობანი და სახელშეკრულებო პირობები. ,,დამატებითი სახელშეკრულებო პირობები" წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად. ,,დამატებითი სახელშეკრულებო პირობები" განთავსებულია როგორც ბანკის ოფისებში, ასევე ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მესაკუთრე ადასტურებს, რომ გაეცნო ,,დამატებითი სახელშეკრულებო პირობებს", ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს მათი შესრულების ვალდებულებას.

3.4. ბანკი უფლებამოსილია, „დამატებით სახელშეკრულებო პირობებში" მოცემული წესით და მიზნებიდან გამომდინარე, დაამუშავოს მესაკუთრის შესახებ ნებისმიერი (მათ შორის, საბანკო, კომერციული, პერსონალური და ბიომეტრული) მონაცემები, მათ შორის: გამოითხოვოს ინფორმაცია სს "კრედიტინფო საქართველოდან", გადასცეს მესაკუთრის და/ან წინამდებარე ხელშეკრულების შესახებ ინფორმაცია სს "კრედიტინფო საქართველოს", მიიღოს მესაკუთრის პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.

3.5. მესაკუთრე აცხადებს, რომ გაეცნო ბანკის ფილიალში/ვებ-გვერდზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობებს და თანხმობას აცხადებს, საჭირო მოცულობით, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

ბანკი

/ თამარ ვაჩნაძე /

მესაკუთრე/მესაკუთრეები


/ შპს დომუს ალუმინიუმი, დირექტორი: ურუშაძე ბაადურ /

საჯარო რეესტრი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.72.14.014.722*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი*882015542643
მიწის ნაკვეთის ფართობი: *3850* კვ.მ.
დანიშნულება: *სასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 24.09.15



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	ხაზობრივი ნაგებობა	0.00 0.00	
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	მიწისქვეშა ნაგებობა	UTM	(საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ჩატ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge